

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

2010 წლის 06 სექტემბერი

დადგენილება № 4

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის
თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის № 721 ბრძანების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. კანდიდატების რეგისტრაცია დაწყებულ იქნას 2010 წლის 6 ოქტომბერს და გაგრძელდეს ამავე წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.
3. რექტორის არჩევნები გაიმართოს 2010 წლის 25 ნოემბერს.
4. დამტკიცდეს რექტორის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საარჩევნო კომისიაში წარსადგენი საბუთების ნუსხა: განცხადება; უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი დამოწმებული ნოტარიული წესით; ცნობა უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟის შესახებ; ანკეტა (CV); პირადობის მოწმობის ასლი; 2 ფოტო (3X4); სამოქმედო გეგმა.
5. დადგენილებით იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ.
6. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თვალსაჩინო ადგილას.
7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის
6 სექტემბრის სხდომის (ოქმი № 2) დადგენილება.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

ე. მესხია